



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 239

2016 წლის 07 დეკემბერი

ქ. თბილისი

2016 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსში გამარჯვებული პროექტების და რანჟირებული სიების დამტკიცების შესახებ

“ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 ოქტომბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-8 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, „2016 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 30 მაისის №101 ბრძანებით დამტკიცებული საგრანტო კონკურსის პროგრამა და პირობების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „მ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსის გიორგი ხიშტოვანის სამსახურებრივი ბარათის (N1458010, 07.12.2016) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს 2016 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსში შემოსული პროექტების რანჟირებული სიები სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს 2016 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსში გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად.
3. დაევალოს ფონდის იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტს დანართი N2-ით გათვალისწინებულ გამარჯვებული პროექტის ავტორებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2016 წლის 15 დეკემბრისა.
4. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.

5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი



დანართი N1
 დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული
 სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
 2016 წლის 7 დეკემბრის N239 ბრძანებით

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

N	პროექტის შიფრი	წამყვანი ორგანიზაცია	პროექტის სახელწოდება	საბოლოო ქულა
1	YS-2016-51	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი	პოტენციური ბიოაქტიური სტეროიდული აზოტშემცველი ნაერთების	47.50
2	YS-2016-81	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მაღალგანზომილებიანი სივრცე-დროის სიმეტრიების სპონტანური დარღვევა როგორც ელემენტალურ ნაწილაკთა წარმოშობილი ყალიბური თეორიების ბუნებრივი წყარო	46.50
3	YS-2016-69	ივ.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მ.ნოდუას გეოფიზიკის ინტიტუტი	ჭაბურღილებში მირკოტემპერატურული ვარიაციებით საქართველოში კლიმატური ცვლილებების შეფასება	44.00
4	YS-2016-71	ივ.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უგის რექციით ბიოლოგიურად აქტიური ინდოლის და ადამანტის შემცველი ახალი დიჰეპდიტების სინთეზი და კვლევა	44.00
5	YS-2016-59	ივ.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ნაფთალინის, მთიაზოლისა და იმიდაზოლის ბირთვების შემცველი პოტენციური ბიოლოგიური აქტიურობის მქონე პოლიციკლური ნაერთების სინთეზი და კვლევა	43.50
6	YS-2016-14	ივ.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	გვიან მეზოზოურ - ადრე კაინოზოური სუპრასუბდუქციული მაგმატიზმის ევოლუცია და გეოდინამიკა სამხრეთ საქართველოს მაგალითზე	42.50